საქართველოს კანონი
მტირალას ეროვნული პარკის შესახებ

მუხლი 1. ძირითადი დებულებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უნიკალური ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, კოლხური ტყეების ეკოსისტემების გრძელვადიანი დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში ეკო-ტურისტული და რეკრეაციული საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის ადმინისტრაციული რაიონების საზღვრების ფარგლებში მოქცეულ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს (საერთო ფართობით 15698,8 ჰექტარი) მიენიჭოს დაცული ტერიტორიის კატეგორიის – ეროვნული პარკის – სტატუსი და ეწოდოს მტირალას ეროვნული პარკი (შემდგომ – პარკი).

2. პარკი მოიცავს ტერიტორიას შემდეგ ი გეოგრაფიულ ი კოორდინატებით :

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	735895	4610669	41	734913	4622579	81	744865	4615578
2	735105	4609164	42	736988	4619045	82	744475	4622238
3	733073	4609736	43	736146	4618489	83	744213	4614869
4	734230	4607822	44	736074	4618095	84	742475	4614155
5	733980	4608819	45	736778	4617805	85	738048	4611689
6	729589	4615221	46	733419	4617252	86	730616	4618037
7	728720	4613122	47	731793	4618366	87	733772	4617481
8	729887	4613001	48	732325	4618287	88	735577	4621578
9	729611	4614795	49	737834	4618889	89	735346	4622276
10	729637	4614083	50	738317	4619134	90	731617	4617847
11	727914	4611933	51	734805	4619951	91	735007	4619247
12	728502	4612920	52	736814	4610276	92	736671	4617866
13	729911	4613546	53	735895	4610669	93	737146	4618116
14	729715	4613985	54	739758	4618588	94	737172	4618097
15	729882	4614049	55	736482	4623184	95	737136	4618069
16	729920	4614224	56	737403	4622494	96	737116	4617959
17	733073	4609736	57	739443	4624081	97	737074	4617947
18	731758	4608161	58	741554	4623492	98	736976	4617958
19	730177	4608748	59	742394	4623099	99	736837	4617936
20	730302	4609409	60	743948	4622660	100	736803	4617916
21	728974	4609249	61	744953	4622430	101	736745	4617824
22	728270	4610435	62	746333	4620864	102	736673	4617943
23	728487	4612304	63	745772	4619732	103	736661	4617891
24	730518	4614325	64	745713	4618096	104	736666	4617903
25	730422	4614493	65	745217	4617018	105	736654	4617929
26	731389	4618244	66	745527	4616097	106	736723	4617973
27	729602	4615567	67	743745	4614381	107	736688	4617938
28	729360	4616166	68	741426	4613521	108	736812	4618019
29	730672	4617277	69	740400	4613617	109	736750	4618008
30	730516	4617541	70	740014	4613250	110	736846	4618031
31	739496	4618290	71	739113	4613318	111	736913	4618026
32	739738	4618256	72	737478	4611296	112	737040	4618028
33	740734	4618870	73	738338	4612532	113	737095	4618047
34	740610	4618341	74	735863	4622925	114	737009	4618019
35	739746	4617731	75	738005	4623028	115	737086	4618027
36	739622	4617616	76	738895	4623562	116	737130	4618096
37	737940	4617898	77	740858	4623681	117	736774	4618027
38	739106	4617852	78	743053	4622949	118	728046	4611936
39	735069	4620564	79	745769	4621668	119	727935	4612000
40	734743	4621022	80	745940	4619129	120	728021	4611870

საქართველოს 2011 წლის 22 მარტის კანონი №4460-ვებგვერდი, 01.04.2011წ.

მუხლი 2. პარკის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი

1. პარკის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი (მათ შორის, პარკის ტერიტორიულ-ფუნქციური ზონირება) განისაზღვრება ამ კანონის, მტირალას ეროვნული პარკის სამენეჯმენტო გეგმისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მტირალას ეროვნული პარკის სამენეჯმენტო გეგმის შესაბამისად პარკის ტერიტორიაზე შეიძლება დაშვებულ

იქნეს ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა (გარდა წიაღით სარგებლობისა) პარკის მიმდებარე თემების საკრებულოებში შემავალი დასახლებული პუნქტების მოსახლეობის საჭიროებათა გათვალისწინებით.
3. პარკის ტერიტორიაზე იკრძალება წიაღით სარგებლობა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა.
4. პარკის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა და გასხვისებას არ ექვემდებარება.

მუხლი 3. პარკის დამხმარე (ბუფერული) ზონა

1. პარკის დამხმარე (ბუფერული) ზონა იქმნება ამავე პარკის დაცვისა და გამოყენების რეჟიმის ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით და მას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ენიჭება მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის კატეგორიის სტატუსი.
2. პარკის დამხმარე (ბუფერული) ზონის საზღვრები და ფართობი, აგრეთვე მის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 4. მტირალას ეროვნული პარკის მართვა

მტირალას ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5630-სსმI, №48, 27.12.2007წ., მუხ.420

მუხლი 5. გარდამავალი დებულებანი

1. პარკის ტერიტორიის ინვენტარიზაცია (მიწის ფართობის საზღვრების ნატურაში გამიჯვნისა და საბოლოო დაზუსტების) და სამიწათმოწყობო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. მტირალას ეროვნული პარკის სამენეჯმენტო გეგმის ამოქმედებამდე პარკის ფარგლებში მოქცეულ ტყის ფონდის მიწებზე არსებულ ტყეებში (ტყით დაფარულ ფართობებზე) დაიშვება პარკის მიმდებარე თემების საკრებულოებში შემავალი დასახლებული პუნქტების მოსახლეობის საჭიროებისათვის საშეშე მერქნის დამზადება, აგრეთვე ტყის არამერქნული რესურსებით, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებითა და ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ტყითსარგებლობის სახეობათა მოცულობას ადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.
4. 2008 წლის 1 თებერვლამდე გამოცემულ იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება „მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე.
5. პარკი არ მოიცავს მდინარე ლეჩ ი ს წყალსადენის სათავე ნაგებობის 0 , 8 ჰექტარ ი ფართობის ტერიტორია ს შემდეგი გეოგრაფიული კოორდინატებით:

№	X	Y	№	X	Y
1	727940.5	4611995.1	11	728028.9	4611877.6
2	727952.5	4611977.3	12	728023.1	4611871.9
3	727944.8	4611985.6	13	728014.8	4611871.9
4	727967.8	4611970.0	14	728005.1	4611877.7
5	728008.7	4611958.6	15	727984.3	4611895.6
6	728024.8	4611951.9	16	727957.7	4611905.7
7	728049.3	4611936.9	17	727923.2	4611921.3
8	728041.1	4611905.7	18	727913.6	4611929.1
9	728036.4	4611899.0	19	727921.2	4611948.8
10	728034.8	4611890.5	20	727936.1	4611997.4

6. ამ მუხლის მე-5 პუნქ ტ ით განსაზღვრულ ტერიტორიას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომი კ ის სამინისტრო.
საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5630-სსმI, №48, 27.12.2007წ., მუხ.420
საქართველოს 2011 წლის 22 მარტის კანონი №4460-ვებგვერდი, 01.04.2011წ.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,
2006 წლის 25 მაისი.
№3147– Iს

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5630-სსმI, №48, 27.12.2007წ., მუხ.420
2. საქართველოს 2011 წლის 22 მარტის კანონი №4460-ვებგვერდი, 01.04.2011წ.